სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვლადიმერ წითლაურის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**16**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე
თარიღი : 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 სექტემბერი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ვლადიმერ წითლაურის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 18 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ვლადიმერ წითლაური.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 4 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 34 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი, 2023 წელი). სპეციალობით მუშაობს 13 წელია, კერძოდ:

- 2011 წლის ივნისი - 2011 წლის დეკემბერი - სტაჟიორი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;

- 2012 წლის მარტი - 2012 წლის სექტემბერი - სტაჟიორ - გამომძიებელი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო;

- 2013 წლის მაისი - 2014 წლის აგვისტო - გამომძიებელი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველო;

- 2014 წლის აგვისტო - 2015 წლის აპრილი - საგამოძიებო განყოფილების უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველო;

- 2015 წლის აპრილი - 2018 წლის თებერვალი - საგამოძიებო განყოფილების უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველო;

- 2018 წლის თებერვალი - 2019 წლის ივლისი - საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო;

- 2019 წლის ივლისი - 2023 წლის დეკემბერი - საგამოძიებო სამმართველოს უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი;

- 2023 წლის დეკემბერი - 2023 წლის ივლისი - განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;

- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;

- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი;

- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ვლადიმერ წითლაურის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით; კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ჯარიმებით. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია შემდეგი უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთები, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ სამთავისში: 3054 m^2 ფართით, 2925 m^2 ფართით (50%), 2758 m^2 ფართით (33%), 3706 m^2 ფართით (33%), 2618 m^2 ფართით (33%); მიწის ნაკვეთი, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოსტიბე, 2668 m^2 ფართით; ბინა, 68 m^2 ფართით, თბილისში; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვლადიმერ წითლაური საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატმა წარმოადგინა სამართლებრივი პუბლიკაციები და ნაშრომები:

- „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის განსაზღვრისთვის", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2015 წელი;
- „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა", კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №8, 2017 წელი;
- „არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №4, თბილისი, 2022 წელი;
- ტესტები და კაზუსები საქართველოს სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის კოდექსის პირველი 9 კარის პრაქტიკულ - თემატური განხილვა), თბილისი, 2011 წელი;
- „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები", 2024 წელი.

ვლადიმერ წითლაური არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/17.

- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 1.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* ვლადიმერ წითლაურმა წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, მას უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არის სწრაფი და დამაჯერებელი, მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. *სისხლის სამართლის* სამართლებრივ საკითხებში სწრაფად ერკვევა, იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, თანმიმდევრულად და გასაგებად აყალიბებს აზრს, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებისას დასაბუთებულად იყენებს ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ

პრაქტიკას, ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს თავისუფლად შედის დისკუსიაში და არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას. *სამოქალაქო სამართალში* ვლადიმერ წითლაურს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაში. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების მეტად განვითარებაზე.

ვლადიმერ წითლაურს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: ლექტორის (ინსტრუქტორის) მომზადების კურსი, „სასაზღვრო და სიმულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა", „გამოძიების ჩატარების ტექნიკა ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეებზე" და ა.შ.)

ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:

- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საჯარო მოსმენისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს ზოგადი ხასიათის შეკითხვები.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას).

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე 2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის პრინციპული, მიუკერძოებელი, სამართლიანი, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

<u>შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი გამოირჩევა მაღალი ზნეობრივი თვისებებით, არის სამართლიანი, თავისი საქმის ერთგული, კომუნიკაბელური, კორექტული,

თავდაჭერილი, გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში ხასიათდება კარგი ავტორიტეტით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენის და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **23 ქულით** (**მაქსიმალური -25**);

კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, მას, როგორც გამოცდილ ლექტორს და პრაქტიკოსს გააჩნია შესანიშნავი სამართლებრივი დასაბუთების უნარი და მაღალი სტანდარტების კომპეტენცია.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ვლადიმერ წითლაურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით, გასაგები ენით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე. შესაფასებელი პირის მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლება, მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა.

კანდიდატს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. იგი ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდგომ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით, ყურადღებას ამახვილებს მნიშნელოვან საკითხებზე.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **16 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის პუნქტუალური, საიმედო, მიზანდასახული, შრომისმოყვარე, კომუნიკაბელური, მეგობრული, კეთილსინდისიერი, აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **13 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი, იგი მრავალი წელია მოღვაწეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სხვადსხვა აკადემიურ პოზიციებ'ხე. მას, როგორც ახალგაზრდა მეცნიერს აქვს შესანიშნავი აკადემიური მიღწევები და იგი კვლავ აგრძელებს ამ კუთხით პროფესიულ განვითარებას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).

კანდიდატი არის სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ეწევა პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა არ მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიულ დისკუსიებში, ფორუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავდა ღიად და თავისუფლად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 87 ქულას.

ლევანი თევზაძე